

შპს „BROTHERS“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4-6
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	10

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

სარჩევი

1. შპს „BROTHERS“ და მისი საქმიანობა.....	13
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	14
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში	23
4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	24
5. ძირითადი საშუალებები	25
6. მარაგები	26
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
9. საწესდებო კაპიტალი	27
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
11. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	28
12. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	29
13. თვითღირებულების ხარჯი	29
14. საოპერაციო ხარჯები	30
15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	30
16. ფინანსური რისკების მართვა.....	31
17. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	34
18. კომპანიის ფუნქციონირებადობის განხილვა	35
19. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები	35

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „BROTHERS“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად;

- მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 ივლისი.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ხახვა

ირაკლი ჩაჩუა

ჯან დუშმეზის მიწდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

30 ივლისი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

შპს „BROTHERS“-ს დამფუძნებლებსა და დირექტორებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „BROTHERS“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს BROTHERS -ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა

ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „BROTHERS“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „BROTHERS“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური
- საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით

გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სამართლებრივი და სარეგულაციო მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენი განსჯის შესაბამისად განვახორციელეთ საჭირო პროცედურები, რომლებიც შევარჩიეთ, მათ შორის და არა მხოლოდ, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებულ ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

გარიგების პარტნიორის სახელით


მზია გეგელაშვილი (SARAS-A-419071)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2025 წლის 30 ივლისი

საქართველო, ბათუმი



შპს BROTHERS

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	28,347,681	27,681,287
არამატერიალური აქტივები		110,845	122,674
სულ გრძელვადიანი აქტივები		28,458,526	27,803,962
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6,247,434	5,666,160
მარაგები	6	1,984,247	1,589,918
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	8	1,676,000	1,721,147
სულ მიმდინარე აქტივები		9,907,681	8,977,225
სულ აქტივები		38,366,207	36,781,186
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	11,700,000	11,700,000
გაუნაწილებელი მოგება		(29,157,193)	(54,817,595)
სულ კაპიტალი		(17,457,193)	(43,117,595)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	11	36,897,960	70,174,841
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36,897,960	70,174,841
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,572,160	3,047,561
გადასახდელი ხელფასი		1,314,040	1,171,440
საგადასახადო ვალდებულება		715,617	680,912
მოკლევადიანი სესხი	11	13,323,623	4,824,027
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,925,440	9,723,940
სულ ვალდებულებები		55,823,399	79,898,781
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,366,207	36,781,186

დირექტორი

ირაკლი ხახვა

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ჩაჩუა

30 ივლისი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

		2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	37,445,545	30,088,903
თვითღირებულების ხარჯი	13	(26,281,673)	(24,483,876)
საერთო მოგება		11,163,873	5,605,026
საოპერაციო ხარჯები	14	(4,868,906)	(3,959,697)
საოპერაციო მოგება		6,294,967	1,645,330
საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		(2,678,343)	294,276
საპროცენტო შემოსავალი		60,380	83,771
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		291,644	338,536
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(131,325)	(1,713,783)
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი		(244,598)	(506,071)
საპროცენტო ხარჯი	11	(3,865,335)	(4,318,804)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(218,842)
მოგება დაბეგვრამდე		(272,610)	(4,395,587)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება(ზარალი)		(272,610)	(4,395,587)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ხახვა

ირაკლი ჩაჩუა

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

30 ივლისი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		11,700,000	(50,422,008)	-	(38,722,008)
2023 წლის ზარალი			(4,395,587)		(4,395,587)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		11,700,000	(54,817,595)	-	(43,117,595)
2024 წლის ზარალი			(272,610)		(272,610)
დამფუძნებლის უპროცენტო სესხის დისკონტირების ეფექტი	11			25,933,013	25,933,013
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		11,700,000	(55,090,205)	25,933,013	(17,457,192)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ხახვა

ირაკლი ჩაჩუა

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

30 ივლისი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლებისგან	36,460,567	29,039,438
გაცემული თანხები მომწოდებლებზე	(12,261,790)	(11,154,092)
გადახდილი გადასახადები	(4,665,542)	(3,923,587)
გაცემული ანგარიშვალდებულ პირზე	-	(70,018)
გადახდილია ხელფასები	(14,111,635)	(11,687,869)
დაფარულია პროცენტი	(622,517)	(245,546)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(165,564)	(232,997)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,633,519	1,725,329
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	60,380	83,771
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	60,380	83,771
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	14,507,500
დაფარულია სესხი	(4,692,640)	(16,694,967)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,692,640)	(2,187,467)
შემოსავალი/ხარჯი საკურსო სხვაობიდან	(46,405)	(11,383)
საკურსო სხვაობის ხარჯი	-	-
სავალუტო კურისის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	(46,405)	(11,383)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	(45,147)	(389,751)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,721,147	2,110,898
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,676,000	1,721,147

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ხახვა

ირაკლი ჩაჩუა

ჯან დუშმეზის მონდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

30 ივლისი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

ფინანსური საკითხები

2024 წელს შემოსავალი გაიზარდა 24%, ხოლო თვითღირებულების ხარჯი გაიზარდა 7% , რაც კარგი მაჩვენებელია საერთო მოგების კუთხით.

საერთო მოგების მარჟა

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	30%	11%

არაფინანსური საკითხები

კომპანიას გააჩნია ნარჩენების მართვა, კერძოდ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქალაქ ბათუმის სანდასუფთავების სამსახურთან. რომელიც სისტემატიურად ახდენს გამოყენებული სამედიცინო ნარჩენების გატანას სამსახურიდან, სპეციალურ ნაგავსაყრელზე.

შპს „BROTHERS“ დირექტორი:

ირაკლი ხახვა

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

30 ივლისი 2025 წ.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „BROTHERS“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად;

- მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 ივლისი.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ხახვა -----

ირაკლი ჩაჩუა -----

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი -----

30 ივლისი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	28,347,681	27,681,287
არამატერიალური აქტივები		110,845	122,674
სულ გრძელვადიანი აქტივები		28,458,526	27,803,962
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6,247,434	5,666,160
მარაგები	6	1,984,247	1,589,918
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	8	1,676,000	1,721,147
სულ მიმდინარე აქტივები		9,907,681	8,977,225
სულ აქტივები		38,366,207	36,781,186
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	11,700,000	11,700,000
გაუნაწილებელი მოგება		(29,157,193)	(54,817,595)
სულ კაპიტალი		(17,457,193)	(43,117,595)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	11	36,897,960	70,174,841
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36,897,960	70,174,841
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,572,160	3,047,561
გადასახდელი ხელფასი		1,314,040	1,171,440
საგადასახადო ვალდებულება		715,617	680,912
მოკლევადიანი სესხი	11	13,323,623	4,824,027
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,925,440	9,723,940
სულ ვალდებულებები		55,823,399	79,898,781
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,366,207	36,781,186

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ირაკლი ხახვა -----	ირაკლი ჩაჩუა -----
ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:	
ნაიდა გასანოვი -----	

30 ივლისი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

		2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	37,445,545	30,088,903
თვითღირებულების ხარჯი	13	(26,281,673)	(24,483,876)
საერთო მოგება		11,163,873	5,605,026
საოპერაციო ხარჯები	14	(4,868,906)	(3,959,697)
საოპერაციო მოგება		6,294,967	1,645,330
საკუთრო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		(2,678,343)	294,276
საპროცენტო შემოსავალი		60,380	83,771
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		291,644	338,536
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		(131,325)	(1,713,783)
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი		(244,598)	(506,071)
საპროცენტო ხარჯი	11	(3,865,335)	(4,318,804)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	(218,842)
მოგება დაბეგვრამდე		(272,610)	(4,395,587)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება(ზარალი)		(272,610)	(4,395,587)

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ირაკლი ხახვა -----	ირაკლი ჩაჩუა -----
ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:	
ნაიდა გასანოვი -----	

30 ივლისი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		11,700,000	(50,422,008)	-	(38,722,008)
2023 წლის ზარალი			(4,395,587)		(4,395,587)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		11,700,000	(54,817,595)	-	(43,117,595)
2024 წლის ზარალი			(272,610)		(272,610)
დამფუძნებლის უპროცენტო სესხის დისკონტირების ეფექტი	11			25,933,013	25,933,013
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		11,700,000	(55,090,205)	25,933,013	(17,457,192)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ირაკლი ხახვა -----

ირაკლი ჩაჩუა -----

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი -----

30 ივლისი 2025 წელი
საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მომხმარებლებისგან	36,460,567	29,039,438
გაცემული თანხები მომწოდებლებზე	(12,261,790)	(11,154,092)
გადახდილი გადასახადები	(4,665,542)	(3,923,587)
გაცემული ანგარიშვალდებულ პირზე	-	(70,018)
გადახდილია ხელფასები	(14,111,635)	(11,687,869)
დაფარულია პროცენტი	(622,517)	(245,546)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(165,564)	(232,997)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,633,519	1,725,329
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	60,380	83,771
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	60,380	83,771
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	14,507,500
დაფარულია სესხი	(4,692,640)	(16,694,967)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4,692,640)	(2,187,467)
შემოსავალი/ხარჯი საკურსო სხვაობიდან	(46,405)	(11,383)
საკურსო სხვაობის ხარჯი	-	-
სავალუტო კურისის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	(46,405)	(11,383)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	(45,147)	(389,751)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,721,147	2,110,898
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,676,000	1,721,147

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ირაკლი ხახვა -----	ირაკლი ჩაჩუა -----
ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:	
ნაიდა გასანოვი -----	

30 ივლისი 2025 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს „BROTHERS“ და მისი საქმიანობა

შპს „BROTHERS“ („კომპანია“) დაარსდა 2012 წელს და მდებარეობს საქართველოში, ქალაქ ბათუმში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია:

შპს „აიკონ გრუპ“ (ს/კ 245620430) – 50%, რომლის დამფუძნებელს წარმოადგენს ს.ს აბაი ულუსლარასი თექსთილ თურიზმ ვე იათირიმ თიჯარეთ, 0010637932 /თურქეთი/, სტამბული. საბოლოო მაკონტროლებელი პირებია არიან: ჯემალ ბილგინგულლუოღლუ (პ/ნ 27907548800) – 50%; ქემალ ბილგინგულლუოღლუ (პ/ნ 27904548964) – 50%.

ფ/კ ბურაქ ბაშლილარ (პ/ნ 61901095111) – 50%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის მრავალპროფილური ჰოსპიტალია, სადაც გაიწევა მაღალი ხარისხის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება. ჰოსპიტალში ფუნქციონირებს კარდიოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და ზოგადი ქირურგიის, მეან-გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის, ოფთალმოლოგიის, უროლოგიის, ნევროლოგიის, ნეიროქირურგიის, ტრავმატოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, პედიატრიის, რადიოლოგიის მიმართულებები, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია. ჰოსპიტალი უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. მსოფლიო ბრენდების თანამედროვე ციფრული აპარატურა ზუსტი კვლევებისა და დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა.

შპს „BROTHERS“-ში 500-მდე ადამიანია დასაქმებული. ჰოსპიტალი დაკომპლექტებულია ქართველი და უცხოელი მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. მედიკოსები უწყვეტი გადამზადების პროცესში არიან ჩართული და მუდმივად ეცნობიან იმ ინოვაციებს, რაც მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში ინერგება.

ჰოსპიტალი ჩართულია საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში და მოქმედებს, როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ., № 14; გენ. ა. აბაშიძის და ბაგრატიონის ქუჩების კვეთა.

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ., № 14; გენ. ა. აბაშიძის და ბაგრატიონის ქუჩების კვეთა.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების პრინციპის თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა რომელიც აღწერილია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის განმარტებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიან ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება;
- მე-2 დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და
- მე-3 დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები).

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ინსტრუმენტი მიიჩნევა კვოტირებულად აქტიურ ბაზარზე თუ განხორციელებული კომერციული გარიგებიდან ადვილად შეიძლება კვოტირებულ ფასზე ინფორმაციის მოპოვება და ეს ფასები წარმოადგენს ფაქტობრივ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი, ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელი ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების მეთოდებში შეიძლება გამოყენებულ იქნას დაშვებები, რომლებიც ეფუძნება არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთდება შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა თუ ეს დაშვებები რაიმე სახით გამოიწვევს მნიშვნელოვნად გასხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს, დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს. (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

შეფასების მიზნით, ბასს 39-ში (“ფინანსური ინსტრუმენტები: შეფასების აღიარება”), ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები და (ბ) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები ("FVTPL"). მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვეკატეგორიად: (I) საწყისი აღიარებისას ამგვარად აღნიშნული აქტივები და (II) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. გარდა ამისა, ფინანსური იჯარიდან მისაღები სახსრები ცალკე კატეგორიას განეკუთვნება. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას.

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან არაფიქსირებული დაფარვების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს გარდა იმ აქტივებისა, რომელთა რეალიზაციასაც კომპანია ახლო მომავალში აპირებს. გარდა ამისა, კომპანიამ ახლად შესყიდულ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება მიანიჭოს „გასაყიდად განკუთვნილის“, „დაფარვის ვადამდე ფლობილის“ ან „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულის“ კვალიფიკაცია იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ინსტრუმენტების ბუნება ან მენეჯმენტის განზრახვები მასთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგიებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგიებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

კომპანია ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას და აღიარების შემდგომ აფასებს თვითღირებულებით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებულ ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კლასის სასარგებლო გამოყენების ვადები:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
მიწის ნაკვეთები	-
შენობა-ნაგებობა	50
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10

არამატერიალური აქტივი - კომპანია არამატერიალურ აქტივს აღრიცხავს თვითღირებულების მეთოდით. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მოგების გადასახადის ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღიარდება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

კომპანია შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

მარაგები და გაყიდული საქონლის თვითღირებულება კომპანია მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველაწარმოებულ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მარაგის ჩამოწერა ხდება „ფიფო“ მეთოდით. „ფიფო“ ფორმულის გამოყენება გულისხმობს, რომ მარაგის ის ელემენტები, რომლებიც პირველად შეიძინეს, იყიდება პირველად.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯებში – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

კომპანია იყენებს ფასს 9-ში არსებულ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრულ სასიცოცხლო ვადაზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდა საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების მიხედვით.

კომპანია 30 დღემდე ვადაგადაცილებული სავაჭრო მოთხოვნისთვის რეზერვი არ ქმნის, 30 დან 60 დღემდე ვადაგადაცილების მქონე სავაჭრო მოთხოვნისთვის კომპანია იღებს ვადაგადაცილებული ოდენობის 10 %-ს, 60 დან 120 დღემდე - 30 %-ს, ხოლო 120 დან 180 დღემდე -50 %-ს 180 დღეზე მეტი ოდენობის სავაჭრო მოთხოვნისთვის ვიღებთ ვადაგადაცილებული ოდენობის 100 %-ს.

კომპანიას საყოველთაო ჯანდაცვისა და სადაზღვევო კომპანიების მიმართ წარმოშობილი მოთხოვნებს, რომლის ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო არ ანაზღაურდა ჩამოწერას უიმედო ვალებში, იმ იმოდენობით რომლის ანაზღაურებასაც აღარ ელოდება.

გადახდილი ავანსები ავანსები აღირიცხება ოპერაციის ღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწარმოო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკუროს მოგება და საკუროს ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

იჯარა - არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, კომპანია ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც

მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი შენობების, საოფისე ინვენტარის და ავტოტრანსპორტის მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონე მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ხარჯების აღიარება. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ცალკეული ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

უიმედო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2024 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული) ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
პირვანდელი ღირებულება						
1 იანვარი 2023	1,629,540	30,722,272	16,214,919	279,519	596,803	49,443,053
შეძენა	-	297,989	1,641,303	34,500	15,031	1,988,823
31 დეკემბერი 2023	1,629,540	31,020,261	17,856,222	314,019	611,834	51,431,876
შეძენა	-	265,529	1,310,009	64,769	81,314	1,721,621
რეალიზაცია	-	-	(9,252)	-	-	(9,252)
31 დეკემბერი 2024	1,629,540	31,285,790	19,156,979	378,787	693,148	53,144,245
ცვეთა						
აკუმულირებული ცვეთა 2022	-	(9,669,679)	(10,966,255)	(150,966)	(453,686)	(21,240,586)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(1,067,529)	(1,378,233)	(32,611)	(31,630)	(2,510,003)
აკუმულირებული ცვეთა 2023	-	(10,737,208)	(12,344,488)	(183,576)	(485,316)	(23,750,589)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(405,664)	(609,915)	(15,018)	(15,377)	(1,045,975)
რეალიზებული ძირ. საშ. ცვეთა	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 2024	-	(11,142,872)	(12,954,404)	(198,594)	(500,693)	(24,796,564)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	1,629,540	20,283,053	5,511,734	130,442	126,518	27,681,287
31 დეკემბერი 2024	1,629,540	20,142,918	6,202,575	180,193	192,455	28,347,681

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სს საქართველოს ბანკის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია კომპანიის მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები სრულად.

6. მარაგები

2024 და 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიას მარაგების სახით გააჩნია:

მარაგები	31.12.2024	31.12.2023
მედიკამენტები და სხვა სამედიცინო მასალები	1,826,504	1,467,173
საწვავი	25,457	22,953
ტექნიკური საკონელი	34,122	23,474
სხვა მარაგები	98,164	76,318
ჯამი	1,984,247	1,589,918

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	8,087,792	7,376,167
საექვო ვალების რეზერვი	(1,845,108)	(1,713,783)
სხვა	4,750	3,775
ჯამი	6,247,434	5,666,160

ვადაგადაცილების დღეები რაოდენობა თანხვრევად წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	რეზერვის თანხები
0-30	-
30-60	11,088
60-120	89,099
180-ზე მეტი	1,744,921

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვი.	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული	53,418	59,801
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,619,569	1,646,000
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,013	15,346
სულ	1,676,000	1,721,147

9. საწესდებო კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 11 700 000 ლარს. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

(ბ) დივიდენდი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების იმ ნაშთით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დივიდენდები არ არის გამოცხადებული.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	3,437,123	2,916,632
სხვა ვალდებულებები	135,037	130,929
ჯამი	3,572,160	3,047,561

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

11. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება

2024 და 2023 წლის მდგომარეობით, გრძელვადიანი სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

დასახელება	ვალუტა	ვადა	საპროცენტო გაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი ნაწილი					
შპს აიკონ გრუპი	USD	12/31/2034	0.00%	10,143,590	31,849,499
შპს აიკონ გრუპი	GEL	12/31/2034	0.00%	7,217,787	-
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	USD	12/31/2034	0.00%	8,917,393	29,761,241
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	GEL	12/31/2034	0.00%	7,049,341	-
საქართველოს ბანკი	EUR	08/10/2026	5.5.%	3,569,849	8,564,101
მოკლევადიანი ნაწილი					
შპს აიკონ გრუპი	GEL	12/31/2034	0.00%	3,248,835	-
შპს აიკონ გრუპი	USD	12/31/2034	0.00%	835,743	-
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	USD	12/31/2034	0.00%	1,035,068	-
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	GEL	12/31/2034	0.00%	3,267,365	-
საქართველოს ბანკი	EUR	08/10/2026	5.5.%	4,936,612	4,777,787
საქართველოს ბანკი	EUR	08/10/2026	5.5.%	-	46,240
ჯამი				50,221,583	74,998,868

კომპანიას აქვს მიღებული სესხები უპროცენტოდ. ფასს 9-ის შესაბამისად განხორციელდა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება და სესხების სამართლიანი ღირებულებით ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. დისკონტირების განაკვეთად აღებულია მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ - დოლარში 9,68%, ხოლო ლარში 12,36% . დისკონტირებული თანხა აისახა კაპიტალში დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებში .

2024 და 2023 წლის სესხის მოძრაობა :

	2024	2023
1 იანვარი	74,998,868	73,423,493
სესხის აღება	-	14,507,500
სესხის დაფარვა	(4,692,640)	(16,694,967)
დისკონტის ეფექტი	(25,933,013)	
პროცენტის დარიცხვა	3,865,335	4,318,804
პროცენტის დაფარვა	(622,517)	(245,546)
საკურსო სხვაობა	2,605,549	(310,416)
31 დეკემბერი	50,221,583	74,998,868

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიას შემოსავლის მიღების სხვადასხვა წყარო გააჩნია, კერძოდ:

	2024	2023
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	37,142,615	30,044,670
სტუდენტთა პრაქტიკულ-საგანმანათლებლო მომსახურება	221,703	-
სხვა შემოსავალი	81,227	44,233
სულ შემოსავალი	37,445,545	30,088,903

13. თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის თვითღირებულების ხარჯი შედგება :

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2024	2023
ძირითადი მასალები და ნედლეულის ხარჯები	6,117,873	5,376,030
ცვეთის ხარჯი	1,065,466	2,531,351
პერსონალის ხარჯი	15,121,956	12,697,447
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	2,202,189	2,343,190
სამედიცინო ჟანგბადის ხარჯები	91,079	122,398
სამედიცინო მომსახურების ხარჯები	440,014	218,851
კვების მომსახურების თვითღირებულების ხარჯი	517,556	437,354
ლაბორატორიის ხარჯი	596,481	667,758
სამედიცინო ნაგავის ხარჯები	43,500	41,000
მარაგების ჩამოწერის ხარჯები	7,930	4,615
სამრეცხაო ხარჯები	27,178	28,200
რეალიზებული მედიკამენტების ხარჯები	-	1,247
სხვა თვითღირებულება	50,451	14,434
სულ თვითღირებულება	26,281,673	24,483,876

14. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

საოპერაციო ხარჯები	2024	2023
ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი	3,250,508	2,422,746
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	17,329	18,529
საკონსულტაციო ხარჯი	85,420	90,876
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	491,896	484,278
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	7,241	8,476
იჯარის ხარჯი	236,200	227,580
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	59,658	45,754
მანქანა დანადგარების რემონტი	574,129	305,959
დაზღვევის ხარჯი	28,437	54,322
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	118,089	301,177
საოპერაციო ხარჯი	4,868,906	3,959,697

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას ჰქონდა სასამართლო დავა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან. დავა უკავშირდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შერჩევითი რევიზიის შედეგად დაკისრებულ ჯარიმას. საჯარიმო თანხის საერთო ოდენობა, რომელსაც დავის მხარე მოითხოვს შეადგენს 680 711 და 1 269 893,15 ლარს. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ დავა დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ ვიდრე პირიქით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური,

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

16. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	2024	2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,676,000	1,721,147
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,087,792	7,376,167
	9,763,792	9,097,314
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,572,160	3,047,561
მიღებული სესხები	50,221,583	74,998,868
	53,793,742	78,046,429

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	GEL	USD USD 1 = 2.6894 GEL	EUR EUR 1 = 2.9753 GEL	12/31/2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი	1,705,801	15,346	-	1,721,147
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,376,167	-	-	7,376,167
გაცემული სესხები				-
ფინანსური აქტივები, სულ	9,081,968	15,346	-	9,097,314
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,047,561	-	-	3,047,561
მიღებული სესხები		31,849,499	43,149,369	74,998,868
ფინანსური ვალდებულებები, სულ	3,047,561	31,849,499	43,149,369	78,046,430
ღია სავალუტო პოზიცია	6,034,407	(31,834,154)	(43,149,369)	
	GEL	USD USD 1 = 2.8068 GEL	EUR EUR 1 = 2.9306 GEL	12/31/2024
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი	1,672,987	3,013	-	1,676,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,087,792	-	-	8,087,792
გაცემული სესხები				-
ფინანსური აქტივები, სულ	9,760,779	3,013	-	9,763,792
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,572,160	-	-	3,572,160
მიღებული სესხები	20,783,328	20,931,793	8,506,461	50,221,583
ფინანსური ვალდებულებები, სულ	24,355,488	20,931,793	8,506,461	53,793,742
ღია სავალუტო პოზიცია	(14,594,709)	(20,928,780)	(8,506,461)	

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფინანსური აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მგრძნობელობა სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს

სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
20%	- 20%	20%	- 20%
(6,366,831)	6,366,831	(8,629,874)	8,629,874

დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
20%	- 20%	20%	- 20%
(4,185,756)	4,185,756	(1,701,292)	1,701,292

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო პარტნიორებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

31 დეკემბერი 2023 წ	საბალანსო ღირებულება	12 თვემდე	1-5 წელი
სესხები და ნასესხები სახსრები	74,998,868	4,824,027	70,174,841
სავაჭრო ვალდებულებები	3,047,561	3,047,561	
სულ	78,046,429	7,871,588	70,174,841

31 დეკემბერი 2024 წ	საბალანსო ღირებულება	12 თვემდე	1-5 წელი
სესხები და ნასესხები სახსრები	50,221,583	13,323,623	36,897,960
სავაჭრო ვალდებულებები	3,572,160	3,572,160	
სულ	53,793,742	16,895,783	36,897,960

შპს BROTHERS

ფინანსურ ანგარიშგებასთან დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

17. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები, შედგება მიღებული სესხებისა და გადასახდელი პროცენტებისგან, რომელსაც შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მიღებული სესხები მესაკუთრთრებისგან:

დასახელება	ვალუტა	ვადა	საპროცენტო გაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი ნაწილი					
შპს აიკონ გრუპი	USD	12/31/2034	0.00%	10,143,590	31,849,499
შპს აიკონ გრუპი	GEL	12/31/2034	0.00%	7,217,787	-
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	USD	12/31/2034	0.00%	8,917,393	29,761,241
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	GEL	12/31/2034	0.00%	7,049,341	
მოკლევადიანი ნაწილი					
შპს აიკონ გრუპი	GEL	12/31/2034	0.00%	3,248,835	-
შპს აიკონ გრუპი	USD	12/31/2034	0.00%	835,743	-
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	USD	12/31/2034	0.00%	1,035,068	-
ფ/პ ბურაქ ბაშლილარ	GEL	12/31/2034	0.00%	3,267,365	-

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის აგრეგირებული ანაზღაურება შეადგენს 2024 და 2023 წლის მდგომარეობით შესაბამისად : 1 031 662 და 857 577ლარს.

საპროცენტო ხარჯი	2024	2023
ბენეფიციარ მესაკუთრესთან	3,260,951	4,027,018

18. კომპანიის ფუნქციონირებადობის განხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს კომპანიის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

19. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა

მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

შპს BROTHERS

შპს “BROTHERS” („კომპანია“) დაარსდა 2012 წელს და მდებარეობს საქართველოში, ქალაქ ბათუმში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია:

შპს “აიკონ გრუპ” (ს/კ 245620430) – 50% , რომლის დამფუძნებელს წარმოადგენს **ს.ს აბაი ულუსლარარასი თექსთილ თურიზმ ვე იათირიმ თიჯარეთ**, 0010637932 /თურქეთი/, სტამბული. საბოლოო მაკონტროლებელი პირებია არიან: ჯემალ ბილგინგულლუოღლუ (პ/ნ 27907548800) – 50%; ქემალ ბილგინგულლუოღლუ (პ/ნ 27904548964) – 50%.

ფ/პ ბურაქ ბაშლილარ (პ/ნ 61901095111)- 50%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის მრავალპროფილური ჰოსპიტალია, სადაც გაიწვეა მაღალი ხარისხის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება. ჰოსპიტალში ფუნქციონირებს კარდიოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და ზოგადი ქირურგიის, მეან-გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის, ოფთალმოლოგიის, უროლოგიის, ნევროლოგიის, ნეიროქირურგიის, ტრავმატოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, პედიატრიის, რადიოლოგიის მიმართულებები, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია. ჰოსპიტალი უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. მსოფლიო ბრენდების თანამედროვე ციფრული აპარატურა ზუსტი კვლევებისა და დიაგნოსტიკების საშუალებას იძლევა.

შპს “BROTHERS”-ში 500-მდე ადამიანია დასაქმებული. ჰოსპიტალი დაკომპლექტებულია ქართველი და უცხოელი მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. მედიკოსები უწყვეტი გადამზადების პროცესში არიან ჩართული და მუდმივად ეცნობიან იმ ინოვაციებს, რაც მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში ინერგება.

ჰოსპიტალი ჩართულია საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში და მოქმედებს, როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ., № 14; გენ. ა. აბაშიძის და ბაგრატიონის ქუჩების კვეთა.

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ., № 14; გენ. ა. აბაშიძის და ბაგრატიონის ქუჩების კვეთა.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს Brothers , კომპანია ბაზარზე ფუნქციონირებს, როგორც Batumi International Hospital (BIH) მრავალპროფილური ჰოსპიტალია, სადაც გათვალისწინებულია მაღალი ხარისხის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება. ჰოსპიტალში მუშაობს:

- გადაუდებელი დახმარების განყოფილება (ემერჯენსი);
- კარდიოლოგიური;
- გულ-სისხლძარღვთა;
- ზოგადი ქირურგიის;
- მეან-გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის;
- ოფთალმოლოგიის;
- უროლოგიის;
- ნევროლოგიის;
- ნეიროქირურგიის;
- ტრავმატოლოგიის;
- ენდოკრინოლოგიის;
- პედიატრიის;
- პროქტოლოგიის;
- რადიოლოგიის მიმართულებები,
- თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია.

ემერჯენსი

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის გადაუდებელი დახმარების განყოფილება - ემერჯენსი პაციენტებს 24 საათის განმავლობაში გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურებას სთავაზობს.

გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მედიკოსთა გუნდი უზრუნველყოფს:

- პაციენტთა პრეჰოსპიტალურ მოვლას;
- გადაუდებელი მდგომარეობის მართვას 24-საათზე ნაკლები დაყოვნებით;
- აუცილებელი დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას;

მოქმედებს შოკის, ობსერვაციის, ინტენსიური თერაპიის დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.

გადაუდებელი დახმარების განყოფილება ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, მოქმედებს ყველა სახის დაზღვევა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რეფერალური მომსახურების უზრუნველყოფა.

24/7 თქვენი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში

კარდიოქირურგია

კარდიო-ქირურგიული მიმართულებით ხორციელდება შემდეგი დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა:

სარქველის პლასტიკა: ანულოპლასტიკა, კარედების პლასტიკა, ხელოვნური ქორდები,

- მიტრალური
- აორტალური
- სამკარედიანი სარქველი

სარქველის პროტეზირება:

ერთი ან ორი სარქველის (მექანიკური, ბიოლოგიური) პროტეზირება.

კორონარული შუნტირება:

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში ან - მომუშავე გულზე.

კორონარული შუნტირება შესაძლებელია იზოლირებულად ან სარქველის პროტეზირებასთან (პლასტიკასთან) ერთად.

სხვა პროცედურები:

- ანევრიზმის რეზექცია/პლიკაცია
- პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის აღდგენა
- აღმავალი აორტის პლასტიკა/პროტეზირება
- აორტის რკალის პროტეზირება
- გულის სიმსივნის (მიქსომა) ამოკვეთა
- პერიკარდიოტომია
- გულის სხვადასხვა ტრამეები

ბენტალის პროცედურა: აორტალური სარქველის, აღმავალი აორტის და აორტის სარქველის პროტეზირება.

იაკუბის პროცედურა: აღმავალი აორტის პროტეზირება.

გულის თანდაყოლილი პათოლოგიების ოპერაციები:

- ბოტალის სადინარი
- აორტის კოარქტაცია
- წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი
- პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი

ლაბორატორია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის მრავალფუნქციური ლაბორატორია აღჭურვილია მსოფლიო ბრენდების-Sysmex (XS-500 i), BECKMAN, RANDOX, TRUE LINE, ACROS, VIDAS, ABLSO, COADOT (ECOMED) –ბოლო თაობის ანალიზატორებით,

რომლებიც ლაბორატორიული კვლევების სრული სპექტრის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

ლაბორატორიული კვლევები წარმოებს შემდეგ დარგებში:

- ჰემატოლოგია
- იმუნოლოგია
- სეროლოგია
- კლინიკური ბიოქიმია
- კოაგულოლოგია
- ციტოლოგია

ზოგადი ქირურგია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ლაპარასკოპიული და ენდოსკოპიური მეთოდით ტარდება შემდეგი ქირურგიული ოპერაციები:

- საყლაპავის ქირურგიული პათოლოგიების დროს: საყლაპავის სიმსივნეები, სტრიქტურები,

დივერტიკულები, დიაფრაგმული თიაქრები, რეფლექს-ეზოფაგაიტი;

- კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის პათოლოგიების დროს: კუჭის სიმსივნეები, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება;
- ნაწლავების ქირურგიული პათოლოგიების დროს: კრონის დაავადება, მსხვილი ნაწლავის დივერტიკულარული ავადმყოფობა, არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი, მსხვილი ნაწლავის კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნეები;
- ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ქირურგიული პათოლოგიების დროს: მწვავე ქოლეცისტიტი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, პოსტქოლეცისტექტომიური სინდრომი, ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების სიმსივნეები, მექანიკური სიყვითლე, ღვიძლის კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნეები, კისტები, პარაზიტული კისტები;
- პანკრეასის ქრონიკული პათოლოგიები, კეთილთვისებიანი და პორმონეტალურად აქტიური სიმსივნეები, კისტები, ავთვისებიანი სიმსივნეები, მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტი;
- მწვავე ქირურგიული პათოლოგიები: მწვავე აპენდიციტი, პერიტონიტი, ქოლეცისტიტი, ჩირქოვანი თიაქრები, ნაწლავთა გაუვალობა;
- სხვადასხვა ლოკალიზაციის თიაქრების პლასტიკა: ბარძაყის საზარდულის, ჭიპის, პოსტოპერაციული (მათ შორის ჯონსონის ფირმის საპროთეზო მასალის გამოყენებით)
- სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობა;
- სპონტანური პნევმოთრაქსის, ფილტვების ბულოზური დაავადების მკურნალობა;
- ენდოკრინული ორგანოების ქირურგიული პათოლოგიები: ჩიყვი, ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლის კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნეები;
- კანის და რბილი ქსოვილების სიმსივნური წარმონაქმნები: ლიპომები, ფიბრომები, პაპილომები და ა.შ.

პედიატრია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ხდება 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა გამოკვლევა და მკურნალობა, მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობა, ბავშვის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ეფექტური და ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

პედიატრიული მიმართულებით ხორციელდება:

- ახალშობილთა პატრონაჟი;
- მწვავე და ქრონიკული დაავადებების პაციენტთა გამოკვლევა და მართვა;
- საგანმანათლებლო საქმიანობა მშობლებთან ბავშვთა ჯანსაღი კვებისა და ცხოვრების წესის შესახებ

ნევროლოგია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ნევროლოგიური მიმართულება გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ ამბულატორიულ და სტაციონარულ დახმარებას შემდეგი პათოლოგიების დროს:

- თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა (ინსულტი)
- თავის ტვინილი(შაკიკი, დამაბვის ტიპის თავის ტვინილი, კლასტერული ცეფალგია და სხვა)
- ვესტიბულური დარღვევები (თავბრუხვევა)
- ძილის დარღვევები
- პარკინსონის დაავადება, პარკინსონიზმი და სხვა ექსტრაპირამიდული დარღვევები
- ეპილეფსია
- ნერვული სისტემის ანთებითი დაავადებები
- ქალა ტვინის ტრავმები
- თავის ტვინის სიმსივნური დაავადებები

- ხერხემლის დეგენერაციული დაავადებები
- ზურგის ტვინის ანთებითი და დეგენერაციული დაავადებები
- პოლინეიროპათიები
- ნერვ-კუნთოვანი დაავადებები

პერიფერიული ნეიროპათიების დროს:

- სამწვერა ნერვის ნევრალგია
- სახის ნერვის პერიფერიული დამბლა
- რადიკულოპათია
- გვირაბის სინდრომი

ონკოლოგია

ონკოლოგიურ დეპარტამენტში თქვენ შესძლებთ მიიღოთ ყველა სახის ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას უახლესი მეთოდებით. ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა. სხვადახვა ორგანოებისა და პერიფერიული ლიმფური ჯირკვლების ბიოფსია. ბიოფსიური მასალის ციტოლოგიური, ჰისტოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური კვლევები. ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკისათვის მნიშვნელოვანი ძირითადი ონკომარკერების განსაზღვრა.

ონკოლოგიურ დეპარტამენტში ტარდება შემდეგი სახის ოპერაციები:

- დიდი ზომის კეთილთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნების ამოკვეთა
- დიდი ზომის კეთილთვისებიანი რბილქსოვილოვანი სიმსივნური წარმონაქმნების ამოკვეთა
- ლიმფური ჯირკვლების ან რბილქსოვილოვანი სიმსივნური წარმონაქმნების ექსციზიური ბიოფსია(რთული)
- მასტექტომია ლიმფადენექტომიით
- ჰემიკოლექტომია სტეპლერით
- სიგმოიდური კოლინჯის რეზექცია
- მარცხენამხრივი ჰემიკოლექტომია, სწორი ნაწლავის წინა რეზექცია
- პანკრეატო-დუოდენალური რეზექცია
- კანის ავთვისებიანი სიმსივნეები, ქირურგიული მკურნალობა
- სარძევე ჯირკვლის სექტორალური რეზექცია ორმხრივი
- სარძევე ჯირკვლის სექტორალური რეზექცია ცალმხრივი
- კანის ავთვისებიანი სიმსივნის ექსციზია, დიდი ზომის კანის დეფექტის აუტოდერმატოპლასტიკით და რეგიონალური ლიმფადენექტომიით
- ტოტალური გასტრექტომია ან რადიკალური რეზექცია (კუჭის კიბოს გამო)
- სარძევე ჯირკვლის კვანდრატექტომია ლიმფადენექტომიით
- ილღის ლიმფოდისექცია ზოგადი გაუტკივარებით
- ტრეპან-ბიოფსია
- სარძევე ჯირკვლის ლამპექტომია
- გასტრო-ენტერო ანასტომოზის ფორმირება
- გასტროსტომია
- ბილეო-დიგესტიური ანასტომოზის ფორმირება
- ენტეროსტომის ფორმირება
- კოლოსტომის ფორმირება
- ქირურგიული ჩარევა სიმსივნის ლოკო-რეგიონული რეციდივის გამო
- ბიოფსია კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით
- რეტროპერიტონეალური სივრცის ორგანოსგარეშე სიმსივნის ამოკვეთა

- დიდი ზომის რეციდიული სიმსივნის ამოკვეთა
- ხერხემლის ან კისრის მიოტომა ან ტენოტომა ამოკვეთით ან ამოკვეთის გარეშე
- ხერხემლის რბილი ქსოვილის სიმსივნის სრული ამოკვეთა
- ხერხემლის რბილი ქსოვილის სიმსივნის გაფართოებული ამოკვეთა
- ბეჭის ან ზედა კიდურის კუნთის მიოტომა ან ტენოტომა ამოკვეთით ან ამოკვეთის გარეშე
- ბეჭის ან ზედა კიდურის კუნთის სიმსივნის სრული ამოკვეთა
- ბეჭის ან ზედა კიდურის კუნთის სიმსივნის გაფართოებული ამოკვეთა
- სხვა ოპერაცია ბეჭის ან ზედა კიდურის კუნთზე ან მყესზე
- იდაყვის ან წინამხრის რბილი ქსოვილის სიმსივნის სრული ამოკვეთა
- მუხლის ან წვივის რბილი ქსოვილის სიმსივნის სრული ამოკვეთა
- მუხლის ან წვივის რბილი ქსოვილის სიმსივნის გაფართოებული ამოკვეთა
- კოჭ-წვივის ან ტერფის რბილი ქსოვილის სიმსივნის სრული ამოკვეთა
- კოჭ-წვივის ან ტერფის რბილი ქსოვილის სიმსივნის გაფართოებული (ფართოდ) ამოკვეთა
- კისრის ლიმფური კვანძების ამოკვეთა
- ილიის ლიმფური კვანძების ამოკვეთა
- თეძოს ლიმფური კვანძების ამოკვეთა
- საზარდულის ლიმფური კვანძების ამოკვეთა
- სხვა ლიმფური კვანძების ამოკვეთა ერთ ბლოკად
- ქიმიოთერაპია დღის სტაციონარში (მრავალდღიანი)

ნეიროტრავმატოლოგია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ნეიროქირურგიული მიმართულება გთავაზობთ უახლეს ტექნოლოგიებსა და ნეიროქირურგიის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკასა და ქირურგიულ მკურნალობას:

ნეიროტრავმატოლოგიაში

- ქალასარქველისა და ქალა-ფუძის მოტეხილობა
- ეპიდურული ჰემატომა
- მწვავე სუბდურული ჰემატომა
- ქრონიკული სუბდურული ჰემატომა
- ტრავმული ინტრაცერებრალული ჰემატომა
- თავის ტვინის დაჟეჟილობა, ტრავმული შეშუპება
- ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმა (რედრესაცია, სტაბილიზაცია, დეკომპრესია, ფიქსაცია თანამედროვე მეტალოკონსტრუქციებით)

სისხლძარღვთა ნეიროქირურგიაში

- ჰემორაგიული ინსულტი(სპონტანური ინტრაცერებლური,ინტრავენტრიკულარული ჰემორაგია, სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევა)
- ინტრაკრანიალური ანევრიზმების მიკროქირურგიული მკურნალობა
- არტერო-ვენური მალფორმაციების ღია მიკროქირურგიული მკურნალობა
- ინტრაკრანიალური ანევრიზმების და არტერო-ვენური მალფორმაციების ენდოვასკულარული მკურნალობა
- თავის ტვინის სისხლძარღვთა პათოლოგიების ენდოვასკულარული მკურნალობა (სტენტირება, ანგიოპლასტიკა)

ნეიროონკოლოგიაში

- თავის ტვინის სიმსივნეების მიკროქირურგიული მკურნალობა
- ხერხემლისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების მიკროქირურგიული მკურნალობა
- სიმსივნეთა ტრანსნაზალური მიკროქირურგიული მკურნალობა

- პერიფერიული ნერვების სიმსივნეების მიკროქირურგიული მკურნალობა
- ჰიდროცეფალიის დროს
- შუნტირება და ენდოსკოპიური მკურნალობა
- ხერხემლის დეგენერაციული დაავადებების დროს
- მალთაშუა დისკის თიაქრის მიკროქირურგიული მკურნალობა
- სპინალური სტენოზი
- თავისა და ზურგის ტვინის თანდაყოლილი ანომალიები
- ეპილეფსია
- სამწვერა ნერვის ნევრალგია
- ჰემიფაციალური სპაზმი
- ქალას ძლების დეფექტების პლასტიკა(კრანოპლასტიკა)
- პერიფერიული ნერვების დაზიანების მიკროქირურგიული მკურნალობა
- გვირაბული სინდრომების ქირურგიული მკურნალობა

ენდოკრინოლოგია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში შაქრიანი დიაბეტის პირველი და მეორე ტიპის, ასევე შემდეგი ენდოკრინული დაავადებების სრულყოფილი დიაგნოსტიკა და თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა შესაძლებელია:

- ფარისებური ჯირკვლის დაავადებები (ჰიპოთირეოზი, თირეოტოქსიკოზი, კვანძოვანი ჩიყვი, იოდდეფიციტური დაავადებები, თირეოიდიტები)
- ფარისებრახლო ჯირკვლების დაავადებები (ჰიპერპარათირეოზი, ჰიპოპარათირეოზი)
- ჰიპოფიზის დაავადებები
- სიმსუქნე და მეტაბოლური სინდრომი
- თირკმელზედა ჯირკვლების დაავადებები
- ოსტეოპოროზი
- მამაკაცთა სქესობრივი ფუნქციის დარღვევა
- დიაბეტური ტერფი

ენდოკრინოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება:

- ულტრაბგერითი გამოკვლევა
- რენტგენოგრაფია
- სცინტიგრაფია(ფარისებრი ჯირკვლის, ფარისებრახლო ჯირკვლების, მთელი სხეულის)
- მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (ჰიპოფიზის, თირკმელზედა ჯირკვლების)
- ფარისებრი ჯირკვლის წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსია

ოფთალმოლოგია

ოფთალმოლოგიური მიმართულება ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში მოიცავს შემდეგ მომსახურებებს:

რუტინული ოფთალმოლოგიური კვლევა:

- რეფრაქციის დადგენა (მიოპია, ჰიპერმეტროპია, ასტიგმატიზმი, პრესბიოპია.)
- მხედველობის სიმახვილის დადგენა
- სათვალის ან კონტაქტური ლინზის რეფრაქციის დადგენა
- უკონტაქტო ტონომეტრია
- ბიომიკროსკოპია
- ოფთალმოსკოპია 90 გრადუსიანი ლინზით

დამატებითი კვლევები:

- კერატომეტრია
- პაქიმეტრია

- A-Scan ბიომეტრია
- B-Scan ბიომეტრია
- ტონომეტრია გოლდმანის მეთოდით
- გონიოსკოპია
- ოფთალმოსკოპია კონტაქტური ფუნდუს ლინზით

პედიატრიული ოფთალმოლოგია:

- რეტინოსკოპია
- სიელმის დადგენა
- ტონომეტრია მაკლაკოვის მიხედვით
- რეფრაქციის დარღვევების კორექცია სათვალთ, კონტაქტური ლინზებით

ოფთალმოლოგიური დაავადებების კონსერვატიული მკურნალობა

მშრალი თვალის სინდრომი, კონიუნქტივიტი, ბლეფარიტი, კერატიტი, უვეიტი, გლაუკომა

ოპერაციული მკურნალობა:

- ქუთუთოების და საცრემლე არხების (ენტროპიონი, ექტროპიონი, ქალაზიონი, დაკრიოციტიტი, ფტოზი).
- პტერიგიუმი
- კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია
- გლაუკომა

ლაზერული მკურნალობა:

- მეორადი კატარაქტა YAG ლაზერით
- YAG ლაზერული ირიდოტომია
- ავასტინის და აილიას ინტრავიტრეალური (თვალშიდა) ინექციები დიაბეტური რეტინოპათიის, ასაკობრივი მაკულოდისტროფიის, ბადურის სისხლძარღვების თრომბოზის დროს.

გადაუდებელი მდგომარეობა:

- კონიუნქტივის და რქოვანას უცხო სხეულის ამოღება
- ქუთუთოს და თვალის კაკლის ჭრილობის დამუშავება და გაკერვა
- გლაუკომის მწვავე შეტევა
- ბადურის არტერიის ემბოლია

სამედიცინო აპარატურა:

პროექტორი NIDEK CP-770

რეფრაქტორი NIDEK RT-3100

ავტოლენსმეტრი NIDEK LM-600/600P/600PD

ავტო რეფ/კერატო/ტონომეტრი NIDEK-TONOREF II

ექსკანი NIDEK US-4000

ბიომიკროსკოპი NIDEK SL-9900

იაგ-ლაზერი NIDEK YC-1800

საოპერაციო მიკროსკოპი NIDEK CV-9000

ფაკოემულსიფიკატორი NIDEK CV-9000

პლასტიკური ქირურგია

პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგია

ევროპისა და თურქეთის პრესტიჟულ სამედიცინო კლინიკებში მოღვაწე მაღალკვალიფიციური

პლასტიკური ქირურგის ონურ ეგემენი IUHB-ში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შემდეგი სახის ოპერაციებს ატარებს:

ესთეტიკურ ქირურგიაში:

- მკერდის ქირურგია
- ფიგურის კორექცია
- სახის ესთეტიკა

- ცხვირის ესთეტიკა

- თმის გადანერგვა

რას მოიცავს მკერდის ქირურგია? ესაა:

- მკერდის გადიდება

- დაპატარავება

- გამკვრივება

- რეკონსტრუქცია

- გინეკომასტი

მკერდის გადიდება ორი გზითაა შესაძლებელი. 1 პაციენტის ცხიმებისა და ჰიალურონის მჟავის ინექციების გამოყენებით. 2 ყველაზე გავრცელებული მეთოდი სილიკონის პროთეზია. პაციენტი და ექიმი ერთად არჩევენ რომელი მეთოდი არის კონკრეტული პიროვნებისთვის შესაფერისი.

ოპერაციის შემდგომი პროცედურები:

ოპერაციის შემდგომ პაციენტი რჩება კლინიკაში. 3-5 დღის განმავლობაში შესაძლებელია ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს. მკერდი 3 კვირის შემდეგ ჩადგება ბუნებრივ ფორმაში, ხოლო 2 თვის შემდეგ უკვე ვარჯიშიც შესაძლებელია.

ფიგურის კორექცია

- ლიპოსაქცია

- აბდომინოპლასტიკა - მუცლის პლასტიკა

- მუცლის მინი პლასტიკა

- მკლავის და ბარძაყის პლასტიკა

- გაცხიმოვნების, მძიმე წონის ოპერაციის შემდგომ სხეულის კონტურების კორექცია

რა არის ლიპოსაქცია?

ლიპოსაქცია ცხიმის მოშორების მეთოდია, რომელიც კანის დაზიანების გარეშე გვაძლევს ფიგურის კორექციის შესაძლებლობას.

- აბდომინოპლასტიკა - მუცლის პლასტიკა

მუცლის პლასტიკის ოპერაციისას ხდება ზედმეტი კანის ცხიმოვანი ქსოვილების მოშორება და რეკონსტრუქცია, ანუ მუცლის კუნთების დარღვეული მთლიანობის აღდგენა. ეს პროცედურა ზოგადი ანესთეზიის ქვეშ კეთდება და 2-3 სთ გრძელდება. ოპერაციის შემდეგ პაციენტმა მინიმუმ 3 კვირა უნდა ატაროს სპეციალური ბანდაჟი.

სახის ესთეტიკა

- შუბლის და წარბის წამოწევა

- სახის პლასტიკა

- თვალის ქუთუთოების ესთეტიკა

- კანის შეცვლის პროცედურა

- ყურის კორექცია

შუბლის და წარბის კორექტირებას ძირითადად 40 წელს გადაცილებული ნებისმიერი სქესის პაციენტები იკეთებენ. შუბლის ოპერაციისას შუბლზე წარმოშობილი ხაზები ქრება, ოპერაცია ანესთეზიის ქვეშ კეთდება და 1,5-2 სთ გრძელდება. პაციენტი 2 კვირის შემდეგ შეძლებს ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს, თუმცა 2 თვე არ შეიძლება მძიმე სამუშაოს შესრულება.

სახის კორექცია

სახის სრული პლასტიკა, საშუალო ან ქვედა სახის პლასტიკა, შუბლის პლასტიკა-პროცედურები პაციენტის სურვილის მიხედვით შეირჩევა და განხორციელდება. ოპერაცია დაახლოებით 3-5 სთ გრძელდება და სრული ნარკოზით კეთდება.

თვალის ქუთუთოების ესთეტიკა

ეს ოპერაცია 35 წლამდე პაციენტებისთვის რეკომენდირებული არ არის. იგი ადგილობრივი ანესთეზიით ტარდება. პირველი 2 დღე პაციენტს შეიძლება ქუთუთოები შეუშუპდეს ან

გაულოურჯდეს, თუმცა 5-7 დღის განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება და ნაკვალევი არ დარჩება.
კანის შეცვლის პროცედურა

ასაკი, სივარეტი, სტრესული ცხოვრება, მზის სხივები და უარყოფითი ფაქტორები ჩვენს კანზე გავლენას ახდენს. კანის შეცვლა სხვადასხვა მეთოდით ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში წამლის გამოყენებით, ეს პროცედურა შეიძლება ზაფხულში ჩავიტაროთ, ამ დროს მზის სხივებს უნდა მოვერიდოთ.

ყურის კორექცია

ამ დროს ყური ჩვეულებრივზე უფრო დიდია, წინაა გადმოხრილი და ერთი შეხედვით იქცევს სხვების ყურადღებას. ოპერაციის გაკეთება 6 წლის ასაკიდან შეიძლება. პატარებში ზოგადი ანესთეზიით, ზრდასრულებში კი ადგილობრივი ანესთეზიით ხორციელდება. ოპერაციის შემდეგ ყურები 3 დღე უნდა იყოს შეხვეული, 7 დღის განმავლობაში პაციენტმა 24 საათის განმავლობაში უნდა ატაროს სპეციალური თავის ბანდაჟი. მომდევნო 3 კვირა კი მხოლოდ ღამით.

რინოპლასტიკა

რინოპლასტიკის ოპერაციის დროს ხდება ცხვირის ფორმის და ზომის კორექცია. ოპერაცია დაახლოებით 1,5-3 სთ გრძელდება. ოპერაციის შემდეგ აღინიშნება ცხვირის და მიმდებარე ქსოვილების შეშუპება და სისხლჩაქცევები, რომლებიც 10 დღის განმავლობაში გადადის.

თმის გადანერგვა

თმის გადანერგვა აუცილებლად, ესთეტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს. პროცედურა აუცილებლად საავადმყოფოში უნდა ჩატარდეს. გადანერგილი თმა შესაძლებელია პაციენტს არ შეუნარჩუნდეს, თუმცა 3-6 თვის განმავლობაში ისევ დაიწყებს ამოსვლას და ცხოვრების ბოლომდე დარჩება.

რეკონსტრუქციული ქირურგია

- სიმსივნის შემდგომი მკერდის აღდგენა

- ხალი

- კანის სიმსივნე

- დამწვრობის მკურნალობა

სიმსივნის შემდგომი მკერდის აღდგენა

სიმსივნის შემდგომი მკერდის აღსადგენად რამდენიმე გზა არსებობს:

- პაციენტის ქსოვილებითვე აღდგენა (აუტოლოგიური მკერდის აღდგენა)- უმეტეს შემთხვევაში პაციენტის ზურგის ან კუნთის ქსოვილების გამოყენებით ხდება. ეს მეთოდი განსაკუთრებით რეკომენდირებულია მათთვის, ვინც რადიოთერაპიას იტარებს.

- პროთეზირება.

- ორივე მეთოდის ერთდროულად გამოყენება

პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგია

ევროპისა და თურქეთის პრესტიჟულ სამედიცინო კლინიკებში მოღვაწე მაღალკვალიფიციური პლასტიკური ქირურგის ონურ ეგემენი BIH-ში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შემდეგი სახის ოპერაციებს ატარებს:

ესთეტიკურ ქირურგიაში:

- მკერდის ქირურგია

- ფიგურის კორექცია

- სახის ესთეტიკა

- ცხვირის ესთეტიკა

- თმის გადანერგვა

რას მოიცავს მკერდის ქირურგია? ესაა:

- მკერდის გადიდება

- დაპატარავება

- გამკვრივება

- რეკონსტრუქცია

- გინეკომასტი

მკერდის გადიდება ორი გზითაა შესაძლებელი. 1 პაციენტის ცხიმებისა და ჰიალურონის მჟავის ინექციების გამოყენებით. 2 ყველაზე გავრცელებული მეთოდი სილიკონის პროთეზია. პაციენტი და ექიმი ერთად არჩევენ რომელი მეთოდი არის კონკრეტული პიროვნებისთვის შესაფერისი.

ოპერაციის შემდგომი პროცედურები:

ოპერაციის შემდგომ პაციენტი რჩება კლინიკაში. 3-5 დღის განმავლობაში შესაძლებელია ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს. მკერდი 3 კვირის შემდეგ ჩადგება ბუნებრივ ფორმაში, ხოლო 2 თვის შემდეგ უკვე ვარჯიშიც შესაძლებელია.

ფიგურის კორექცია

- ლიპოსაქცია
- აბდომინოპლასტიკა - მუცლის პლასტიკა
- მუცლის მინი პლასტიკა
- მკლავის და ბარძაყის პლასტიკა
- გაცხიმოვნების, მძიმე წონის ოპერაციის შემდგომ სხეულის კონტურების კორექცია

რა არის ლიპოსაქცია?

ლიპოსაქცია ცხიმის მოშორების მეთოდია, რომელიც კანის დაზიანების გარეშე გვაძლევს ფიგურის კორექციის შესაძლებლობას.

- აბდომინოპლასტიკა - მუცლის პლასტიკა

მუცლის პლასტიკის ოპერაციისას ხდება ზედმეტი კანის ცხიმოვანი ქსოვილების მოშორება და რეკონსტრუქცია, ანუ მუცლის კუნთების დარღვეული მთლიანობის აღდგენა. ეს პროცედურა ზოგადი ანესთეზიის ქვეშ კეთდება და 2-3 სთ გრძელდება. ოპერაციის შემდეგ პაციენტმა მინიმუმ 3 კვირა უნდა ატაროს სპეციალური ბანდაჟი.

სახის ესთეტიკა

- შუბლის და წარბის წამოწევა
- სახის პლასტიკა
- თვალის ქუთუთოების ესთეტიკა
- კანის შეცვლის პროცედურა
- ყურის კორექცია

შუბლის და წარბის კორექტირებას ძირითადად 40 წელს გადაცილებული ნებისმიერი სქესის პაციენტები იკეთებენ. შუბლის ოპერაციისას შუბლზე წარმოშობილი ხაზები ქრება, ოპერაცია ანესთეზიის ქვეშ კეთდება და 1,5-2 სთ გრძელდება. პაციენტი 2 კვირის შემდეგ შეძლებს ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს, თუმცა 2 თვე არ შეიძლება მძიმე სამუშაოს შესრულება.

სახის კორექცია

სახის სრული პლასტიკა, საშუალო ან ქვედა სახის პლასტიკა, შუბლის პლასტიკა-პროცედურები პაციენტის სურვილის მიხედვით შეირჩევა და განხორციელდება. ოპერაცია დაახლოებით 3-5 სთ გრძელდება და სრული ნარკოზით კეთდება.

თვალის ქუთუთოების ესთეტიკა

ეს ოპერაცია 35 წლამდე პაციენტებისთვის რეკომენდირებული არ არის. იგი ადგილობრივი ანესთეზიით ტარდება. პირველი 2 დღე პაციენტს შეიძლება ქუთუთოები შეუშუპდეს ან გაულურჯდეს, თუმცა 5-7 დღის განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება და ნაკვაღევი არ დარჩება.

კანის შეცვლის პროცედურა

ასაკი, სიგარეტი, სტრესული ცხოვრება, მზის სხივები და უარყოფითი ფაქტორები ჩვენს კანზე გავლენას ახდენს. კანის შეცვლა სხვადასხვა მეთოდით ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში წამლის გამოყენებით, ეს პროცედურა შეიძლება ზაფხულში ჩავიტაროთ, ამ დროს მზის სხივებს უნდა მოვერიდოთ.

ყურის კორექცია

ამ დროს ყური ჩვეულებრივზე უფრო დიდია, წინაა გადმოხრილი და ერთი შეხედვით იქცევა სხვების

ყურადღებას. ოპერაციის გაკეთება 6 წლის ასაკიდან შეიძლება. პატარებში ზოგადი ანესთეზიით, ზრდასრულებში კი ადგილობრივი ანესთეზიით ხორციელდება. ოპერაციის შემდეგ ყურები 3 დღე უნდა იყოს შეხვეული, 7 დღის განმავლობაში პაციენტმა 24 საათის განმავლობაში უნდა ატაროს სპეციალური თავის ბანდაჟი. მომდევნო 3 კვირა კი მხოლოდ ღამით.

რინოპლასტიკა

რინოპლასტიკის ოპერაციის დროს ხდება ცხვირის ფორმის და ზომის კორექცია. ოპერაცია დაახლოებით 1,5-3 სთ გრძელდება. ოპერაციის შემდეგ აღინიშნება ცხვირის და მიმდებარე ქსოვილების შეშუპება და სისხლჩაქცევები, რომლებიც 10 დღის განმავლობაში გადადის.

თმის გადანერგვა

თმის გადანერგვა აუცილებლად, ესთეტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს. პროცედურა აუცილებლად სავადმყოფოში უნდა ჩატარდეს. გადანერგილი თმა შესაძლებელია პაციენტს არ შეუნარჩუნდეს, თუმცა 3-6 თვის განმავლობაში ისევ დაიწყებს ამოსვლას და ცხოვრების ბოლომდე დარჩება.

რეკონსტრუქციული ქირურგია

- სიმსივნის შემდგომი მკერდის აღდგენა

- ხალი

- კანის სიმსივნე

- დამწვრობის მკურნალობა

სიმსივნის შემდგომი მკერდის აღდგენა

სიმსივნის შემდგომი მკერდის აღსადგენად რამდენიმე გზა არსებობს:

- პაციენტის ქსოვილებითვე აღდგენა (ავტოლოგიური მკერდის აღდგენა) - უმეტეს შემთხვევაში პაციენტის ზურგის ან კუნთის ქსოვილების გამოყენებით ხდება. ეს მეთოდი განსაკუთრებით რეკომენდირებულია მათთვის, ვინც რადიოთერაპიას იტარებს.

- პროთეზირება.

- ორივე მეთოდის ერთდროულად გამოყენება

ჰოსპიტალი უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. მსოფლიო ბრენდების თანამედროვე ციფრული აპარატურა ზუსტი კვლევებისა და დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა.

ნეიროქირურგია

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ნეიროქირურგიული მიმართულება გთავაზობთ უახლეს ტექნოლოგიებსა და ნეიროქირურგიის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკასა და ქირურგიულ მკურნალობას:

ნეიროტრავმატოლოგიაში

- ქალასარქველისა და ქალა-ფუძის მოტეხილობა

- ეპიდურული ჰემატომა

- მწვავე სუბდურული ჰემატომა

- ქრონიკული სუბდურული ჰემატომა

- ტრავმული ინტრაცერებრალული ჰემატომა

- თავის ტვინის დაჟეჟილობა, ტრავმული შეშუპება

- ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმა (რედრესაცია, სტაბილიზაცია, დეკომპრესია, ფიქსაცია თანამედროვე მეტალოკონსტრუქციებით)

სისხლმარღვთა ნეიროქირურგიაში

- ჰემორაგიული ინსულტი (სპონტანური ინტრაცერებლური, ინტრავენტრიკულარული ჰემორაგია, სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევა)

- ინტრაკრანიალური ანევრიზმების მიკროქირურგიული მკურნალობა

- არტერიო-ვენური მალფორმაციების ღია მიკროქირურგიული მკურნალობა

- ინტრაკრანიალური ანევრიზმების და არტერიო-ვენური მალფორმაციების ენდოვასკულარული

მკურნალობა

- თავის ტვინის სისხლძარღვთა პათოლოგიების ენდოვასკულარული მკურნალობა (სტენტირება, ანგიოპლასტიკა)

ნეირონკოლოგიაში

- თავის ტვინის სიმსივნეების მიკროქირურგიული მკურნალობა
- ხერხემლისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების მიკროქირურგიული მკურნალობა
- სიმსივნეთა ტრანსნაზალური მიკროქირურგიული მკურნალობა
- პერიფერიული ნერვების სიმსივნეების მიკროქირურგიული მკურნალობა

ჰიდროცეფალიის დროს

- შუნტირება და ენდოსკოპიური მკურნალობა

ხერხემლის დეგენერაციული დაავადებების დროს

- მალთაშუა დისკოს თიაქრის მიკროქირურგიული მკურნალობა
- სპინალური სტენოზი
- თავისა და ზურგის ტვინის თანდაყოლილი ანომალიები
- ეპილეფსია
- სამწვერა ნერვის ნევრალგია
- ჰემიფაციალური სპაზმი
- ქალას ძლების დეფექტების პლასტიკა(კრანოპლასტიკა)
- პერიფერიული ნერვების დაზიანების მიკროქირურგიული მკურნალობა
- გვირაბული სინდრომების ქირურგიული მკურნალობა

BIH -ში 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. სამედიცინო პერსონალი ბათუმელი და თბილისელი მაღალკვალიფიციური მედიკოსებით, თურქეთიდან მოწვეული სპეციალისტებით დაკომპლექტდა. მედიკოსები უწყვეტი გადამზადების პროცესში არიან ჩართული და მუდმივად ეცნობიან იმ ინოვაციებს, რაც მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში ინერგება. ჰოსპიტალი ჩართულია საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში, მოქმედებს როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

BIH ერთ-ერთი პირველი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც პაციენტის უფლებების დამცველის ინსტიტუტი ამოქმედდა. ჰოსპიტალის მენეჯმენტის მიზანი JCI -ის აკრედიტაციის მოპოვებაა, რომელიც გლობალურ ჯანდაცვაში ოქროს სტანდარტად განიხილება

ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, კომპანია ზარალზეა, ეს გამოწვეულია გრძელვადიანი სესხით, რომელზეც გადასახელი პროცენტი არსებითია კომპანიისთვის. მაგრამ, ბაზარზე მოთხოვნა ძალიან დიდია, შესაბამისად კომპანია ფუნქციონირებადობის საშიშროების წინაშე არ დგას. ის ახერხებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ფინანსური საკითხები

2024 წელს შემოსავალი გაიზარდა 24%, ხოლო თვითღირებულების ხარჯი გაიზარდა 7% , რაც კარგი მაჩვენებელია საერთო მოგების კუთხით.

საერთო მოგების მარჟა

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	30%	11%

არაფინანსური საკითხები

კომპანიას გააჩნია ნარჩენების მართვა, კერძოდ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქალაქ ბათუმის სანდასუფთავების სამსახურთან. რომელიც სისტემატიურად ახდენს გამოყენებული სამედიცინო ნარჩენების გატანას სამსახურიდან, სპეციალურ ნაგავსაყრელზე.

შპს „BROTHERS“ დირექტორი:

ირაკლი ხახვა -----

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი -----

30 ივლისი 2025 წ.

ფინანსური საკითხები

2024 წელს შემოსავალი გაიზარდა 24%, ხოლო თვითღირებულების ხარჯი გაიზარდა 7% , რაც კარგი მაჩვენებელია საერთო მოგების კუთხით.

საერთო მოგების მარჟა

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	30%	11%

არაფინანსური საკითხები

კომპანიას გააჩნია ნარჩენების მართვა, კერძოდ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქალაქ ბათუმის სანდასუფთავების სამსახურთან. რომელიც სისტემატიურად ახდენს გამოყენებული სამედიცინო ნარჩენების გატანას სამსახურიდან, სპეციალურ ნაგავსაყრელზე.

შპს „BROTHERS“ დირექტორი:

ირაკლი ხახვა

ჯან დუშმეზის მინდობილი პირი:

ნაიდა გასანოვი

30 ივლისი 2025 წ.